ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2021 წლის 24 დეკემბერი

ქ. ტყიბული

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24 -ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტი და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის, მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-19 მუხლისა და „პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის №17 დადგენილება (www. Matsne.gov.ge, 06.12.2021 წ, 010250050.35.125.016395).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **იოსებ რობაქიძე**

დანართი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№		თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეული	თანამდებობრივი სარგო
1		საკრებულოს თავმჯდომარე	1	4510
2		საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3410
3		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	2970
4		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2420

5		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2	2200
6		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	3	1760
		სულ	**14**	
	საკრებულოს აპარატი			
1		I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი)	1	1870
2		III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ორგანიზაციულ საკითხებში)	1	1100
3	იურიდიულ საკითხთა და საქმისწარმოების განყოფილება	II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (განყოფილების უფროსი)	1	1540
4		III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)	1	1100
5		III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საოქმო საკითხებში)	1	1100
6		III რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საქმისწარმოების საკითხებში)	1	1100
		სულ	**6**	

№	**შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციის დასახელება**		**სარგო (ლარი)**
1	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	1	1200
2	ვებ. მენეჯერი	1	960
3	მდივან-რეფერენტი	1	1080
4	მძღოლი	1	1080
5	საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი	1	1080
6	ანალიტიკისა და სტატისკის სპეციალისტი	1	1080
	სულ	6	